გილოცავთ შობა-ახალ წელს!

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საგარეჯოს მერეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №1(303) 2024 წ. 1-15 იანვარი ფასი 1 ლარი

წინასაახალწლო და წინასაშობაო დღესასწაულები საგარეჯოში

საგარეჯოში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, ახალი წლის დღეების ფარგლებში საახალწლო და საშობაო ღონისძიებები ჩატარდა.

ცენტრალურ მოედანზე მოეწყო საახალწლო და საშობაო ბაზრობები, ელფების სახელოსნო და თოვლის პაპას ფოსტა. გაიმართა მუსიკალური კარნავალი და თეატრალიზებული მსვლელობა ზღაპრის გმირების მონაწილეობით.

გაიმართა გრანდიოზული კონცერტები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ჯგუფი „გუფი ლენდი“ და ჯგუფი „მგზავრები“.

საახალწლო-საშობაო კონცერტები საზეიმო ფოიერვერკით დასრულდა.

მადლობა

საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის (ყოფილი საბავშვო ბიბლიოთეკის) თანამშრომლები შობა-ახალ წელს ვულოცავთ და მადლობას ვუხდით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს ბ-ნ ავთანდილ გულიკაშვილს საახალწლო საჩუქრებისათვის. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს, ოჯახურ ბედნიერებას, წარმატებებს სამსახურებრივ საქმიანობაში.

„ინფრასტრუქტურა-2023“

გაკეთდა-მოწესრიგდა

2024 წელს უფრო მეტი გაკეთდება

2023 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეტად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, რამაც კიდევ უფრო გაალამაზა ქალაქი საგარეჯო, მუნიციპალიტეტის თემებში შემავალი სოფლები და ცალკეული სოფლები: მოეწყო რეკრეაციული სკვერები, განვითარდა ქალაქის ურბანული გარემო, გაუმჯობესდა მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება, მოწესრიგდა ქუჩების სანიაღვრე არხები, მოასფალტდა ქუჩები და ჩიხები, კეთილმოეწყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ეზოები, მოშანდაკდა სასოფლო გზები, შემოიღობა სასაფლაოები.

კონკრეტულად: ***(შემოკლებით)***

1 სოფ. **გიორგიწმინდა**. – ე.წ. “გუგუტიაანთ უბანში” სკვერის მოწყობა 422,501 ლარი.

2 **საგარეჯოში:** – კოსტავას ქ. № 12 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია მშენებლობა – 412,857ლ.

3 **ქალაქ საგარეჯოში** კოსტავას ქ. №16 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია-მშენებლობა –480,000ლ.

4 **ქალაქ საგარეჯოში** კოსტავას ქ. №17 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია-მშენებლობა – 58,175ლ.

5 კოსტავას ქ. №18 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია-მშენებლობა – 498,681ლ.

6 კოსტავას ქ. №20 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია-მშენებლობა – 500,012ლ.

7. ქ. საგარეჯოში გ. ბრწყინვალეს პირველი შესახვევის მოასფალტება – 379,606ლ.

8. არაყიშვილის პირველი შესახვევის მოასფალტება – 179,089ლ.

ძ. საგარეჯოში ე.წ “ფანოზიანთ” სასაფლაოსთან მისასვლელი გზის საფარის მოწყობა–მოასფალტების სამუშაოები – 465,092ლ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის **სოფელ მარიამჯვარში** სატუმბი სადგურის,რეზერვუარის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოები – 519,410ლ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის **სოფელ მუხროვანის** ჭაბურღილის და კოშკურა რეზერვუარის სამუშაოები – 200,954ლ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის **სოფელ**

მზისგულში სკოლასთან მისასვლელი ქუჩის მოასფალტების სამუშაოები – 730,197ლ.

ქალაქ **საგარეჯოში** კახეთის გზატკეცილის 19-და 19-ა-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე სახურავის მოწყობის სამუშაოები – 149,999ლ.

მ. **კოსტავას** ქუჩაზე ტროტუარის მოწყობის სამუშაოები – 307,959ლ.

საგარეჯოში ს/კ: 55.12.52.126. მიწის ნაკვეთზე ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები – 172,000ლ.

სოფელ **თოხლიაურში** მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები – 98,321ლ.

საგარეჯოს კულტურის სახლის გათბობა-ვენტილაციის მოწყობის სამუშაოები – 273,100ლ.

მ. **კოსტავას** ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები – 438,989ლ.

სოფელ **კაკაბეთში** №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები – 470,600ლ.

სოფელ **ბადიაურში** მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები – 98,321ლ.

კახეთის გზატკეცილი 11 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 449,999ლ.

ქ. **საგარეჯო** – კახეთის გზატკეცილი №7-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სტიქიით დაზიანებული ბინების შეკეთების სამუშაოები – 102,488ლ.

სოფელ **კაკაბეთში** (კუპატაძეების უბანში) არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები – 92,217ლ.

სოფელ **კაკაბეთში** №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობის დასრულებისათვის საჭირო სამუშაოები – 151,699ლ.

ქ. **საგარეჯოს** ააიპ „საგარეჯოს 105 კომპლექსური სასპორტო სკოლის“ ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო კორპუსისა და საცურაო აუზების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები –135,045ლ.

სოფელ **ხაშმში** სადრენაჟე არხის მოწყობის სამუშაოები – 22,896ლ.

სოფელ **თოხლიაურის** სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები – 62,651ლ.

სოფელ **გომბორში**, სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ში ცენტრალური გათბობის სისტემის მონტაჟის სამუშაოები – 7,361ლ.

სოფელ **პატარძეულში** ე.წ. „ყუშიტაანთ უბნის“ გზის მოასფალტების სამუშაოებისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ***სოფელ პატარძეულში*** 22-ე ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები – 864,919ლ.

სოფელ **უდანოს** სოფლის სასაფლაოს შემოღობვის სამუშაოები – 7,007ლ.

სოფელ **უჯარმაში** მცხოვრები დავით ნათობიშვილის საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობის სამუშაოები – 16,541ლ.

სოფელ **უდაბნოს** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების საქვაბის მოწყობის სამუშაოები – 8,905ლ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების შიდა საუბნო გზების მოხრეშვა-მოშანდაკების მიზნით ტექნიკისა (ორ ერთეული გრეიდერი, ორი ექსკავატორ დამტვირთველი, რვა ერთეული ავტოთვითმცლელი, ორი ერთეული გრუნტის სატკეპნი) და მათი ოპერატორების დაქირავების/მომსახურების შესყიდვა – 500,000ლ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ „კულტურის ობიექტების გაერთიანების“ „სამხატვრო სკოლის“ ოთახების ჭერის შეცვლა, ფანჯრის ღიობისა და საპირფარეშოს მოწყობის სამუშაოები – 17,963ლ.

ქ. **საგარეჯოში** ***ალაზნის ქუჩის IV ჩიხის, ქ. საგარეჯოში ალაზნის ქუჩის VI ჩიხისა და ქ.საგარეჯოში თბილისის I შესახვევის რეაბილიტაციის*** სამუშაოები – 251,591ლ.

სოფელ გიორგიწმინდაში მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები – 84,228ლ.

სოფელ თოხლიაურში მცხოვრები ზაქარია გორგიაშვილის ხანძრის შედეგად დაზიანებული სახლის რეაბილიტაცია – 27,566ლ.

სოფელ კაკაბეთში მცხოვრები **დავით ოთიაშვილის** სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები – 5,867ლ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკანალიზაციო სისტემის ქსელის გაწმენდითი მომსახურების შესყიდვა – 21,144ლ.

ქალაქ **საგარეჯოში**, აღმაშენებლის ქუჩა 37ა-ში მდებარე საგარეჯოს ცენტრალურ სტადიონზე სათადარიგო მოთამაშეებისა და პერსონალისთვის სკამების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა – 17,703ლ.

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

27 დეკემბერი, 2023 წელი

2023 წლის 27 დეკემბერს გაიმართა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა,რომელსაც ***საკრებულოს თავმჯდომარე*** **ალექსი ბილაშვილი** უძღვებოდა.

სხდომის დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ," მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **თინათინ ძაბილაშვილმა.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა:

– დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის მიხედვით 2024 წლისთვის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი განსაზღვრულია 5 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 1551 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

რაც შეეხება ბიუჯეტის პარამეტრებს, შემდეგნაირია:

შემოსულობები:

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების პროგნოზი 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 5848,8 ათასი ლარით 22 %-ით და შეადგენს 32676,7 ათას ლარს. შემოსავლები შეადგენს 32571,7 ათას ლარს, ***მათ შორის:***

1) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 30186,3 ათას ლარით, მათ შორის:

ქონების გადასახადი 5750,0 ათასი ლარია, 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 1000,0 ათასი ლარით (21 %),

დამატებული ღირებულების გადასახადი შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახდის 1,41 %, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 24436.3 ათას ლარს, 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 5131,4 ათასი ლარით (27 %), დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებლებთან შედარებით 4805,5 ათასი ლარით (24 %).

2) გრანტი მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 130,9 ათასი ლარით (-32 %) და განისაზღვრა 274.1 ათასი ლარით, რაც გამოწვეულია მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის და მობილიზაციის სამსახურის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადასვლით.

3) სხვა შემოსავლები 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 150,0 ათასი ლარით (-7%) და შეადგენს 2114,0 ათას ლარს, **მათ შორის:**

შემოსავლები პროცენტებიდან შეადგენს 800,0 ათას ლარს (ზრდა 200,0 ათასი ლარი, 33 %);

რენტა 560,0 ათას ლარს;

ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები განსაზღვრულია 92,0 ათასი ლარით, მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელი 45,0 ათასი ლარით, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 45,0 ათასი ლარით, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 2,0 ათასი ლარი;

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება შეადგენს 12,0 ათას ლარს;

ჯარიმები, სანქციები და საურავები შეადგენს 550,0 ათას ლარს;

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 100,0 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების კლება განსაზღვრულია 105,0 ათასი ლარით, მათ შორის: ძირითადი აქტივები 20,0 ათასი ლარია, არაწარმოებული აქტივები 85,0 ათასი ლარი.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებს:

ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების მოცულობა შეადგენს 32676,7 ათას ლარს, 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 5848,8 ათასი ლარით (22 %). საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების პროგნოზი 25646,6 ათასი ლარია, გაზრდილია 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 20 %-ით, ***მათ შორის:***

შრომის ანაზღაურება 4319,7 ათასი ლარია, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით საბაზო თანამდებობრივი სარგო 2023 წელთან შედარებით იზრდება 10%-ით და განისაზღვრება 1 330 ლარის ოდენობით, რაც უზრუნველყოფს საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების ზრდას ასევე 10%-ის ოდენობით;

საქონელი და მომსახურება შეადგენს 5585,0 ათას ლარს (ზრდა 12 %-ით),

პროცენტი - 12,8 ათასი ლარი (შემცირდა 62%-ით);

სუბსიდიები - 12550,7 ათასი ლარი (გაიზარდა 29 %-ით);

გრანტები - 223,5 ათასი ლარი;

სოციალური უზრუნველყოფა - 1975,3 ათასი ლარი (გაზრდილია 34 %-ით);

სხვა ხარჯები - 979,6 ათასი ლარი (შემცირდა-30 %-ით);

არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 6976,8 ათასი ლარით, 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 29 %-ით;

ვალდებულების კლება 53,3 ათასი ლარია.

პროექტში პრიორიტეტები,პროგრამები,ქვეპროგრამები წარმოდგენილია შემდეგი სახით: მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 6806,1 ათას ლარი (2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 7%-ით); მათ შორის: მუნიციპალიტეტის საკრებულო 1506,3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 4588,7 ათასი ლარი, აქედან საგარეჯოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნით გაიხარჯება 62,4 ათასი ლარი; სარეზერვო ფონდი შეადგენს 645,0 ათას ლარს; მგფ-ს და სხვა დავალიანების დაფარვა - 66,1 ათას ლარს;

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია დაფინანსდება 10589,9 ათასი ლარით (2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 32 %-ით); ***მათ შორის:***

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსდება 5254.5 ათასი ლარით, აქედან გზების მიმდინარე შეკეთებაზე გათვალისწინებულია 600,0 ათასი ლარი, შ.პ.ს."საგარეჯო" დაფინანსდება 462,0 ათასი ლარით; ახალი გზების მშენებლობაზე გათვალისწინებულია 4179,5 ათასი ლარი, განხორციელდება სოფლებში: პატარძეულში ე.წ."ნახალოვკის უბნის" გზის, შიბლიანში ე.წ."თუთუბიანის უბანში" გზის, ყანდაურაში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის, ნინოწმინდაში მე-9 და მე-10 ქუჩების მოასფალტების სამუშაოები, დასრულდება სოფელ ბადიაურში „კაკლების უბანში" საავტომობილო გზის მოასფალტების სამუშაოები, გათვალისწინებულია საზედამხედველო და საპროექტო მომსახურება;

წყლის სისტემების განვითარება დაფინანსდება 2833,9 ათასი ლარით, მათ შორის: სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამით გამოყოფილია 1990,5 ათასი ლარი, განხორციელდება სასმელი წყლის ჭაბურღილების შესაკეთებლად ამქაჩი ტუმბოე-

ბის შესყიდვა, კაკაბეთში მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციისთვის მილების შესყიდვა, გათვალისწინებულია საზედამხედველო და საპროექტო მომსახურება; აგრეთვე გათვალისწინებულია სასმელი წყლის ჭაბურღილებზე დახარჯული ელენერგიის ხარჯის დაფინანსება; სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია-ა(ა)იპ.საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი დაფინანსდება 843,4 ათასი ლარით;

გარე განათება დაფინანსდება 1800.0 ათასი ლარით, ეს არის გარე განათების ქსელის ექსპლოატაციისათვის გათვალისწინებული ხარჯი;

ავარიული შენოგებების და სახლების რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 120,0 ათასი ლარი, გათვალისწინებულია საზედამხედველო და საპროექტო მომსახურება;

კეთილმოწყობა დაფინანსდება 581,5 ათასი ლარით, ეს არის საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა -რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში გათვალისწინებული 3 კატეგორიის 4 ერთეული ავტობუსის შესყიდვის, 3 კატეგორიის 4 ერთეული ავტობუსის გეგმიური ფლობის შესყიდვის, საკადასტრო-აგეგმვითი ნახაზების შესყიდვის, საპრივატიზაციოდ მომზადებული ობიექტების შეფასების და საიჯარო ქირის განსაზღვრის მიზნით საექსპერტო მომსახურების ხარჯები;

დასუფთავება და გარემოს დაცვა დაფინანსდება 2498,9 ათასი ლარით (2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 10 %-ით):

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 178,9 ათასი ლარი, გათვალისწინებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტსა და ა.(ა).ი.პ.-მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალურ სააგენტოსთან დელეგირების ხელშეკრულების თანახმად უფლებამოსილებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით 2024 წლის საწევრო გადასახადი, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის საინფორმაციო სისტემით (MIS) უზრუნველყოფისათვის, სერვერის და ტექნიკური მომსახურების გაწევის საფასურის გადასახადი;

ვინაიდან 2024 წელს შ.პ.ს. „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018" -ს დაევალა დამატებით ქ. საგარეჯოს ქუჩების დასუფთავება და დაგვა, წყალსადინარი არხების გაწმენდის, ცენტრალური ქუჩებისა და ტროტუარების თოვლისგან/ყინულისაგან გაწმენდის მომსახურება, ქ.საგარეჯოს ქუჩებში, სოფლებში (გიორგიწმინდა, ნინოწმინდა, წყაროსთავი, პატარძეული, თოხლიაური, მანავი) განთავსებული ნაგავშემკრები კონტეინერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, დაფინანსდება 2200,0 ათასი ლარით;

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 120,0 ათასი ლარი, გათვალისწინებულია 2024 წელს განსახორციელებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და მონიტორინგის ხარჯის დაფინანსება;

განათლება დაფინანსდება 5489,1 ათასი ლარით, (2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 39 %-ით);

სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე (ა(ა)იპ „ სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანება") გათვალისწინებულია 5087,4 ათასი ლარი;

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობაზე - 130,0 ათასი ლარი, ეს არის 2023 წელს განსახორციელებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და მონიტორინგის ხარჯი;

ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება" - 229,7 ათასი ლარი;

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში - 42,0 ათას ლარი, პროგრამით კვლავ გაგრძელდება საჯარო სკოლების ***წარჩინებული კურსდამთავრებულების*** დაჯილდოვება.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტზე გათვალისწინებულია 4523,4 ათასი ლარი (2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 29 %-ით).

სპორტის სფეროს განვითარებაზე გათვალისწინებულია - 2177,4 ათასი ლარი, მათ შორის:

დასასრული მე-6 გვერდზე

2024 წლის საეკლესიო კალენდარი

იანვარი

ორშ	1	8	15	22	29
სამშ	2	9	16	23	30
ოთხ	3	10	17	24	31
ხუთ	4	11	18	25	
პარ	5	12	19	26	
შაბ	6	13	20	27	
კვ	7	14	21	28	

თებერვალი

ორშ		5	12	19	26
სამშ		6	13	20	27
ოთხ		7	14	21	28
ხუთ	1	8	15	22	29
პარ	2	9	16	23	
შაბ	3	10	17	24	
კვ	4	11	18	25	

მარტი

ორშ		4	11	18	25
სამშ		5	12	19	26
ოთხ		6	13	20	27
ხუთ		7	14	21	28
პარ	1	8	15	22	29
შაბ	2	9	16	23	30
კვ	3	10	17	24	31

აპრილი

ორშ	1	8	15	22	29
სამშ	2	9	16	23	30
ოთხ	3	10	17	24	
ხუთ	4	11	18	25	
პარ	5	12	19	26	
შაბ	6	13	20	27	
კვ	7	14	21	28	

მაისი

ორშ		6	13	20	27
სამშ		7	14	21	28
ოთხ	1	8	15	22	29
ხუთ	2	9	16	23	30
პარ	3	10	17	24	31
შაბ	4	11	18	25	
კვ	5	12	19	26	

ივნისი

ორშ		3	10	17	24
სამშ		4	11	18	25
ოთხ		5	12	19	26
ხუთ		6	13	20	27
პარ		7	14	21	28
შაბ	1	8	15	22	29
კვ	2	9	16	23	30

ივლისი

ორშ	1	8	15	22	29
სამშ	2	9	16	23	30
ოთხ	3	10	17	24	31
ხუთ	4	11	18	25	
პარ	5	12	19	26	
შაბ	6	13	20	27	
კვ	7	14	21	28	

აგვისტო

ორშ		5	12	19	26
სამშ		6	13	20	27
ოთხ		7	14	21	28
ხუთ	1	8	15	22	29
პარ	2	9	16	23	30
შაბ	3	10	17	24	31
კვ	4	11	18	25	

სექტემბერი

ორშ		2	9	16	23	30
სამშ		3	10	17	24	
ოთხ		4	11	18	25	
ხუთ		5	12	19	26	
პარ		6	13	20	27	
შაბ		7	14	21	28	
კვ	1	8	15	22	29	

ოქტომბერი

ორშ		7	14	21	28
სამშ	1	8	15	22	29
ოთხ	2	9	16	23	30
ხუთ	3	10	17	24	31
პარ	4	11	18	25	
შაბ	5	12	19	26	
კვ	6	13	20	27	

ნოემბერი

ორშ		4	11	18	25
სამშ		5	12	19	26
ოთხ		6	13	20	27
ხუთ		7	14	21	28
პარ	1	8	15	22	29
შაბ	2	9	16	23	30
კვ	3	10	17	24	

დეკემბერი

ორშ		2	9	16	23	30
სამშ		3	10	17	24	31
ოთხ		4	11	18	25	
ხუთ		5	12	19	26	
პარ		6	13	20	27	
შაბ		7	14	21	28	
კვ	1	8	15	22	29	



პირობითი აღნიშვნები:

- აღდგომის დღესასწაული
- მარხვის დღე
- ხსნილი (მსგეფსი)
- ყველიერი
- **T** დღესასწაულის დღეები
- **T** მიცვალებულთა მოსახსენიებელი დღე

2024

იანვარი

ორშაბათი	1	8	15	22	29
სამშაბათი	2	9	16	23	30
ოთხშაბათი	3	10	17	24	31
ხუთშაბათი	4	11	18	25	
პარასკევი	5	12	19	26	
შაბათი	6	13	20	27	
კვირა	7	14	21	28	

თებერვალი

		5	12	19	26
		6	13	20	27
		7	14	21	28
	1	8	15	22	29
	2	9	16	23	
	3	10	17	24	
	4	11	18	25	

მარტი

		4	11	18	25
		5	12	19	26
		6	13	20	27
		7	14	21	28
	1	8	15	22	29
	2	9	16	23	30
	3	10	17	24	31

აპრილი

ორშაბათი	1	8	15	22	29
სამშაბათი	2	9	16	23	30
ოთხშაბათი	3	10	17	24	
ხუთშაბათი	4	11	18	25	
პარასკევი	5	12	19	26	
შაბათი	6	13	20	27	
კვირა	7	14	21	28	

მაისი

		6	13	20	27
		7	14	21	28
	1	8	15	22	29
	2	9	16	23	30
	3	10	17	24	31
	4	11	18	25	
	5	12	19	26	

ივნისი

		3	10	17	24
		4	11	18	25
		5	12	19	26
		6	13	20	27
		7	14	21	28
	1	8	15	22	29
	2	9	16	23	30

ივლისი

ორშაბათი					
სამშაბათი	1	8	15	22	29
ოთხშაბათი	2	9	16	23	30
ხუთშაბათი	3	10	17	24	31
პარასკევი	4	11	18	25	
შაბათი	5	12	19	26	
კვირა	6	13	20	27	
	7	14	21	28	

აგვისტო

		5	12	19	26
		6	13	20	27
		7	14	21	28
	1	8	15	22	29
	2	9	16	23	30
	3	10	17	24	31
	4	11	18	25	

სექტემბერი

		2	9	16	23	30
		3	10	17	24	
		4	11	18	25	
		5	12	19	26	
		6	13	20	27	
		7	14	21	28	
	1	8	15	22	29	

ოქტომბერი

ორშაბათი					
სამშაბათი		7	14	21	28
ოთხშაბათი	1	8	15	22	29
ხუთშაბათი	2	9	16	23	30
პარასკევი	3	10	17	24	31
შაბათი	4	11	18	25	
კვირა	5	12	19	26	
	6	13	20	27	

ნოემბერი

		4	11	18	25
		5	12	19	26
		6	13	20	27
		7	14	21	28
	1	8	15	22	29
	2	9	16	23	30
	3	10	17	24	

დეკემბერი

		2	9	16	23	30
		3	10	17	24	31
		4	11	18	25	
		5	12	19	26	
		6	13	20	27	
		7	14	21	28	
	1	8	15	22	29	

<u>მუნიციპალური გვერდი</u>

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა

27 დეკემბერი, 2023 წელი

დასასრული

ა(ა)იპ "საგარეჯოს 105 კომპლექსური სასპორტო სკოლა" დაფინანსდება 85,2 ათასი ლარით;

სპორტის განვითარების ხელშეწყობა (ა(ა)იპ ***„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება"***) - 1015,0 ათასი ლარი;

რაგბის განვითარების ხელშეწყობა (***ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ვეფხვები"***) - 499,2 ათასი ლარი;

ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა ***(შ.პ.ს."საფეხბურთო კლუბი გარეჯი")*** - 330,5 ათასი ლარი;

სპორტული ღონისძიებები დაფინანსდება 117,5 ათასი ლარით;

სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა დაფინანსდება 130,0 ათასი ლარით. ეს არის 2024 წელს განსახორციელებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და მონიტორინგის ხარჯი.

კულტურის სფეროს განვითარებაზე გათვალისწინებულია 2062,1 ათასი ლარი, მათ შორის:

ა(ა)იპ ***"ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა"*** - 268,9 ათასი ლარი;

ა(ა)იპ ***"კულტურის ობიექტების გაერთიანება"*** - 1147,2 ათასი ლარი;

კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 346,0 ათასი ლარი, აქედან 100,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიატაციო სამუშაოების პროექტების შესყიდვისათვის, მუნიციპალიტეტის ტურისტული ბაზრის ცნობადობის და ტურისტების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით ქვეპროგრამაში გამოყოფილია 246,0 ათასი ლარი ტურისტულ ღონისძიებებზე;

კულტურული ღონისძიებები დაფინანსდება 300,0 ათასი ლარით;

ახალგაზრდობის მხარდაჭერა დაფინანსდება 224,3 ათასი ლარით;

საგამომცემლო საქმიანობა (გაზეთი „გარეჯის მაცნე") დაფინანსდება 59,6 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდება 2769,3 ათასი ლარით (2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 27 %-ით); აქედან

ჯანმრთელობის დაცვაზე გათვალისწინებულია 290,4 ათასი ლარი, მათ შორის:

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა დაფინანსდება 260,9 ათასი ლარით;

სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია - 29,5 ათასი ლარით;

სოციალური დაცვა დაფინანსდება 2478,9 ათასი ლარით, მათ შორის:

პირველი და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა - 14,0 ათასი ლარი;

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა - 80,0 ათასი ლარი;

ბავშვთა კვების დაფინანსების პროგრამა - 30,0 ათასი ლარი;

უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა - 23,8 ათასი ლარი;

შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა -100,0 ათასი ლარი;

შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების - პროგრამა 261,6 ათასი ლარი;

მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა - 6,0 ათასი ლარი;

რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა - 5,0 ათასი ლარი;

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენა - 10,0 ათასი ლარი;

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა - 520,0 ათასი ლარი;

მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა - 250,0 ათასი ლარი;

ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა - 200,0 ათასი ლარი;

ბიკარბონატიული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა - 62,4 ათასი ლარი;

ელექტროენერგიის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა - 56,0 ათასი ლარი;

მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამა - 120,0 ათასი ლარი;

სოციალურად დაუცველი მოწყვლადი ჯგუფებისათვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე - 180,0 ათასი ლარი;

მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამა - 25,0 ათასი ლარი;

ხანდაზმულ (95 და მეტი წლის) პირთა დახმარების პროგრამა - 6,0 ათასი ლარი;

უპატრონო და სოციალურად დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა - 50,0 ათასი ლარი;

სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა - 20,0 ათასი ლარი;

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - 45,0 ათასი ლარი;

უმწეოთათვის უფასო სასადილოების დაფინანსება - 338,5 ათასი ლარი;

ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა - 10,5 ათასი ლარი;

წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა - 23,3 ათასი ლარი;

სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის დაფინანსება - 40,0 ათასი ლარი;

მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა - 1,8 ათასი ლარი.

პრიორიტეტების მიხედვით 2024 წლის ბიუჯეტი ასე განაწილდა:

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები შეადგენს ბიუჯეტის 20,8%-ს;

ინფრასტრუქტურის განვითარება შეადგენს ბიუჯეტის 32,4%-ს;

დასუფთავება და გარემოს დაცვა შეადგენს ბიუჯეტის 7,6%-ს;

განათლება შეადგენს ბიუჯეტის 16,8%-ს;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი შეადგენს ბიუჯეტის 13,8%-ს;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა შეადგენს ბიუჯეტის 8,5%-ს.

სხდომაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხებიც:

2. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2024 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ. მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ სოფიო შაქარაშვილმა.

3. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხის და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის 37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 8 დეკემბრის 15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

4. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა, საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის – საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის 16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

5. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟირების გავლის წესის და სტაჟირების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის ფორმის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 დეკემბრის 16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი კახაბერ მარგებაძე თანამომხსენებელი ვანო ანუაშვილი/

6. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში სტაჟირების გავლის წესის და სტაჟირების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის ფორმის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 დეკემბრის 15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი ვანო ანუაშვილი/

7. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 3 სექტემბრის 40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხსენებელი ვანო ანუაშვილი/

8. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ

/მომხსენებელი კახაბერ მარგებაძე თანამომხსენებელი ვანო ანუაშვილი/

9. მდგრადი განვითარების მიზნების საგარეჯოს მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ქურდოვანიძე თანამომხსენებელი არჩილ ნემსიაშვილი/

10. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ქურდოვანიძე თანამომხსენებელი არჩილ ნემსიაშვილი/

11.„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის" დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ქურდოვანიძე თანამომხსენებელი არჩილ ნემსიაშვილი/

12. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატარძეულში მდებარე მოედნის (სტადიონის) სახელდების შესახებ.

/მომხსენებელი ლევან როსტიაშვილი/

13. სხვადასხვა განმარტებითი ბარათი

„ჰეი, ვინ მოდის მანდ, მომავლიდან?!“

პატარა ფეხბურთელის დიდი მიზანი

ამ პატარა ფეხბურთელს, პირობისამებრს, 17 საათზე, საგარეჯოს საშობაო ნაძვისხესთან შევხვდი. მამამისთან ერთად მანქანიდან გადმოსული ხელის ჩარტყმით მომესალმა, რაღაცნაირად დინჯი, სეროზული, გაწონასწორებული . . .

ამ ათი წლის წინ მოვლენია ამ ქვეყანას **ერეკლე რუაძე,** საგარეჯოელი მიხეილ (მიშა) რუაძის ოჯახში. მიშა რუაძე ვინაა? აღარ გახსოოვთ?! გასული საუკუნის 90-იან წლებში რაიონის ფეხბურთის გუნდის „გარეჯის“ ფეხბურთელი, თავის (საგარეჯოს საკრებულოს წევრ) ტყუპ ძმასთან ირაკლისთან ერთად გარეჯელი „ფეოლას“ - გელა ხებრელაშვილს აღზრდილი და დაკვალიანებული მოთამაშე. იმ ავად მოსაგონარ დროს, 2000-იან წლებამდე რომ შემორჩნენ გარეჯელ ფეხბურთს. ჰოდა, ასეთ ოჯახში აღზრდილ-დაბადებულს ადრეული ასაკიდანვე რომ გასჩენოდა ფეხბურთისადმი ინტერესი, რა გასაკვირია! საბავაშვო ბაღის ასაკიდანვე თვალი ფეხბურთისაკენ გაურბოდა, ხუთი წლისა კი სავარჯიშოდ თბილისის „დინამოს“ აკადემიაში შევიდა, მსოფლიოში ამ პოპულარული სპორტის უფრო ახლოს გასაცნობად და დასაუფლებლად, იმ დღიდან, აგერ უკვე 5 წელი გავიდა და იგი უკვე შემდგარი პატარა, ქართველი ფეხბურთელია და გარკვეული წარმატებებიც აქვს მოპოვებული თავის გუნდთან (მწვრთნელი გიორგი მამუჩაშვილი) ერთად. ყოველწლიურად ისინი მონაწილეობას იღებენ ელიტ ლიგის თამაშებში, ეს ბოლო ორი წელია საერთაშორისო თასის გათამაშების ჩემპიონები არიან, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ლიტვის, აზერბაიჯანის, თურქეთის და სხვა ქვეყნების ბავშვთა საფეხბურთო კლუბები. განსაკუთრებით ეამაყება მას ბათუმში ჩატარებული წლევანდელი სეზონი, სადაც მიუხედავად იმისა, რომ მისი ძირითადი ფუნქცია მარცხენა მცველობაა, შეძლო ერთი გოლის გატანა.

- მაინც როგორი სპორტსმენია ჩვენი მომავალი დიდი ფეხბურთელი? — ვეკითხები მიშას.

- ერეკლე პასუხისმგებლიანი, შრომისმოყვარე ბიჭია. ყველაფერს უდგება სერიოზულად. იცის, რომ წარმატებები მხოლოდ დიდი შრომით მიიღწევა და თავს არ ზოგავს საამისოდ. დამატებით, თავისი მიზანი რომ აისრულოს.ინდივიდუარულ ფეხბურთის სკოლაშიც დაგვყავს და ცხოვრებითაც თბილისში გადმოვედით.

- ერეკლე, ფეხბურთი ფეხბურთად და როგორი მოსწავლე ხარ?

— ვსწავლობ თბილისის 47-ე საჯარო სკოლის მეხუთე კლასში. სასკოლო საგნებიდან ყველაზე მეტად მათემატიკა მიყვარს, თუმცა ჩემი ცოდნით არც სხვა საგნების მასწავლებლები არიან უკმაყოფილო . . .

- გავიგეთ, ქართულ ფოლკლორთან გქონია კავშირი?

— კი, დავდივარ თბილისის ფოცხვერაშვილის სახელობის მეშვიდე მუსიკალურ სასწავლებელში, თუმცა ჩემი საბოლოოო მიზანი მაინც ფეხბურთს უკავშირდება და მინდა გამოვიდე ისეთი მოთამაშე, რომელიც შორს გაუთქვამს სახელს საქართველოს და ქართულ ფეხბურთს.

- ისეთი როგორც ხვიჩა კვარაცხელია და სხვა ქართველები არიან, არა?

- ისე რა კარგი იქნება მათსავით შენზეც რომ თქვან მომავალმა პატარა ფეხბურთელებმა — მინდა, ერეკლე რუაძის მსგავსი ფეხბურთელი გამოვიდეო და შენი სახელი ეკეროთ პირზე ყველგან, დიდსაც და პატარასაც. აბა, შენ იცი, როგორ შეასრულებ შენს დასახულ მიზანს.

ესაუბრა *გივი დაბახიშვილი*

როგორ შევხვდეთ მწვანე ხის დრაკონის წელს?

***აღმოსავლური** კალენდრის მიხედვით, 2024 წელი მწვანე ხის დრაკონის წელია. დრაკონი სიძლიერის, კეთილშობილების, იღბლისა და წარმატების სიმბოლოა. მომდევნო წლის მთავარი ფერებია მწვანე და ხისფერი. იმის გამო, რომ აღმოსავლური კალენდარი თარიღების განსხვავებულ აღრიცხვას იყენებს, ახალი წელი, ყოველ წელს განსხვავებულ დროს აღინიშნება და 21 იანვრიდან 20 თებერვლამდე პერიოდში მერყეობს.*

დრაკონს რუტინული, ჩვეულებრივი რაღაცები არ მოსწონს. ამიტომ, უმჯობესია, თუ ბანალურ და მოსაწყენ ნივთებზე უარს იტყვით. გააფორმეთ სახლი ახალი, ნათელი დეკორაციებით. არანაირი სევდა და მოწყენილობა - შეიქმენით დადებითი განწყობა და ახალ წელს ღიმილით შეხვდით.

მთავარია, დადებითი განწყობა შეინარჩუნოთ და მხიარულად იყოთ, იმას, სახლში აღნიშნავთ ახალ წელს, სტუმრად, თუ წვეულებაზე, დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

როგორც უკვე მიხვდით, წლის მთავარი ფერი მწვანე იქნება. აღნიშნული ფერის ყველანაირი ვარიაცია შეგიძლიათ სცადოთ. ღია მწვანიდან დაწყებული, ჭაობისფრით დამთავრებული. გარდა ამისა, დრაკონის 2 ყველაზე საყვარელი ფერი ოქროსფერი და წითელია. ამიტომაც, ახალ წელთან შესახვედრად სამოსის შესარჩევად, სუფრის გასაფორმებლად თუ დეკორაციების შესაქმნელად მწვანეს, წითელს, ხისფერსა და ოქროსფერს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ. უპირატესობა მიანიჭეთ ხავერდის, აბრეშუმის, ატლასის, შიფონის ქსოვილებს.

ჯობს, ოქროს ნივთები მოირგოთ. მაშინაც კი, თუ ოქროთი დამზადებული აქსესუარები არ გიზიდავთ, მცირე დეტალი მაინც აირჩიეთ, რომ წლის მთავარი სიმბოლოს კეთილგანწყობის მოპოვება მოახერხოთ. ასევე, უპირატესობა მიანიჭეთ ოქროსფერ ნივთებს.

დრაკონის სიმბოლო სხვადასხვა ფორმით გამოიყენეთ, ჩართეთ სუფრის გაფორმებასა და სახლის მორთვაში.

ასტროლოგები გვირჩევენ, რომ რაც შეიძლება, გულუხვი სუფრა გავშალოთ. სუფრაზე, მინიმუმ, 12 კერძი უნდა იყოს. მათ შორის, წვნიანი, ბრინჯიანია კერძები, ფორთოხალი, მანდარინი, მწვანე ჩაი.

ჩინური ტრადიციის მიხედვით, ახალი წლის ღამეს წითელ კონვერტში ჩადებული ფულის ჩუქება განსაკუთრებით იღბლიანია და ფინანსურ კეთილდღეობას განაპირობებს.

გახსოვდეთ, რომ დრაკონს სასწაულების მოხდენა შეუძლია. დაგეხმარებათ, რომ მთები გადადგათ და ის საქმეებიც კი, რომლებზეც ხელი ჩაიქნიეთ, უკეთესობისკენ შემოაბრუნოთ. მთავარია, შრომა არ დაგეზაროთ.

ვის გაუმართლებს მწვანე ხის დრაკონის წელს ყველაზე მეტად?

ასტროლოგების თქმით, მომდევნო წელი ვირთხის, მაიმუნისა და მამლის წელში დაბადებული ადამიანებისათვის ყველაზე ხელსაყრელი და წარმატებული იქნება. მწვანე ხის დრაკონის წელს კი ხარის, გველისა და ძაღლის წარმომადგენლებს შესაძლოა, პირად და პროფესიულ საქმიანობაში გარკვეული სირთულეები შეხვდეთ. განსაკუთრებით იღბლიანი დრაკონის წელში დაბადებული ადამიანები იქნებიან. მათ დიდი შანსი აქვთ, რომ რადიკალური ცვლილებები გამოიწვიონ და უკეთესი ყოველდღიურობა შექმნან.

მართლმადიდებლობა

შობა მაცხოვრისა

შობის მოვლენები ორ მახარებელს აქვს აღწერილი - მოციქულ მათეს (რომლიც თორმეტთაგანი იყო) და ლუკას (რომელიც სამოცდაათთაგანი იყო). რამდენადაც მათე მახარებელი თავის სახარებას ებრაელთათვის წერდა, იმდენად იგი მესიის წარმომავლობაში ხაზს უსვამს მამამთავარ აბრაამსა და დავით მეფეს, როგორც ეს წინასწარმეტყველთაგან იყო ნაწინასწარმეტყველები. ამიტომაც მათე მახარებელი ასე იწყებს სახარებას: „წიგნი წარმოშობისა იესო ქრისტესი: დავითის ძისა, აბრაამის ძისა“ (მათე 1,1-17).

იცოდა რა მახარებელმა, რომ იესო არ იყოს იოსების (ქალწულ მარიამის ქმარი) შვილი, იგი არ ამბობს, რომ იოსებმა შვა იესო, არამედ გენიოლოგიური ხაზის აღწერისას ამბობს, რომ „იაკობმა შვა იოსები, ქმარი მარიამისა, რომლისგანაც იშვა იესო, ქრისტედ წოდებული“. მაგრამ რატომ მოჰყავს მაშინ მას იოსების წარმომავლობა და არა მარიამისა? საქმე ისაა, რომ ებრაელები არ აღწერდნენ თავიანთ წარმომავლობას დედის ხაზით (შეიძლება ითქვას, ქალის ხაზით). ამასთან, რჯული მათ ცოლის მოყვანას წარმომავლობის იმ შტოდან ავალებდა, რომელსაც ქმარი მიეკუთვნებოდა, ამიტომაც მახარებელმა წესჩვეულებას არ გადაუხვია და იოსების წარმოშობის აღწერით აჩვენა, რომ მარიამი - ცოლი იოსებისა, და შესაბამისად მისგან შობილი იესო, დავითის შტოდან არიან წარმოშობილნი.

წმინდა ლუკა მახარებელი კი აღნიშნავს, რომ ქრისტეს შობა რომის იმპერიაში გამოცხადებულ ხალხის აღწერას დაემთხვა და როგორც უკვე ითქვა, ებრაელები თავიანთ წარმომავლობას შტოების და შთამომავლობის მიხედვით აწარმოებდნენ. ეს ჩვეულება იმდენად ძლიერი იყო, რომ იმპერატორ ავგუსტუსის განკარგულების შეტყობისთანავე, ყოველი მათგანი იმ ქალაქებისკენ გაემართა, საიდანაც იყვნენ წარმომავლობით. იოსები და ქალწული მარიამი გალილეაში, ქალაქ ნაზარეთში ცხოვრობდნენ, მაგრამ, როგორც ცნობილია, წარმომავლობით დავითის შტოდან იყვნენ, ამიტომაც ისინი ჩასაწერად ბეთლემში გაემგზავრნენ, რომელსაც დავითის ქალაქი ჰქვია, სადაც დაიბადა და მეფედ ეკურთხა დავით მეფსალმუნე. ბეთლემი იერუსალიმთან ახლოს, მის სამხრეთით მდებარე პატარა ქალაქია. ნაზარეთიდან ბეთლემამდე გზის გავლას სამ დღეზე ცოტა მეტი სჭირდებოდა. ბეთლემიდან აღმოსავლეთით იყო დავითის ჭა, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეს გამოქვაბული. როცა იოსები და მარიამი ქალაქს მიუახლოვდნენ, მარიამს მშობიარობის დრომ მოუწია. იოსებმა დასაბინავებელი ადგილის ძებნა დაიწყო, მაგრამ ვერ იპოვა, რადგან აღწერის გამო უამრავი ხალხი იყო ბეთლემში თავმოყრილი. ვინაიდან უკვე ღამდებოდა და მომავალი მესიის დედისთვის არ აღმოჩნდა ქალაქში ადგილი, იოსები და მარიამი იძულებულნი გახდნენ ქალაქგარეთ, სწორედ იმ გამოქვაბულში შეეფარებინათ თავის, სადაც უამონდობისას მწყემსები თავიანთ ნახირს აბინავებდნენ.

იესო ქრისტე იშვა ღამით, როცა ბეთლემში და მის შემოგარენში ყველა ღრმა ძილს იყო მიცემული.

შობის ღამეს, მთელს სამყაროში, დიადი სასწაულები მოხდა. მაცხოვრის დაბადებისთანავე გამოქვაბულში უეცრად პირდაპირ ქვიდან წყაროო ამოხეთქა; მისგან შორს, რომში კი მიწიდან სურნელოვანმა ზეთმა იწყო დენა და მდინარის წყალს შეერია; წარმართული ტაძარი, რომელსაც მარადიულს ეძახდნენ, დაინგრა, მასში მდებარე კერპები დაიმსხვრა, ცაზე კი სამი მზე გამოჩნდა; ესპანეთში იმ ღამეს ცაზე თვალისმომჭრელად მბრწყინავი ღრუბელი გაჩნდა; ისრაელში, მიუხედავად ზამთრისა, ვაზი აყვავდა. ხოლო ყველაზე დიდი სასწაული ანგელოზების გამოცხადება იყო, რომლებიც მწყემსებს გამოეცხადნენ და სახარებაშიც არის აღწერილი:

გამოქვაბულის მოპირდაპირედ, რომელშიც მაცხოვარი იშვა, მაღალი კოშკი იდგა. კოშკში მწყემსები ცხოვრობდნენ. სამ მათგანს იმ ღამეს არ ეძინა, ვინაიდან ფარას მწყემსავდნენ. სწორედ მათ გამოეცხადა მთავარანგელოზი გაბრიელი ზეციური ბრწყინვალებით. მის დანახვაზე მწყემსები ძალიან შეშინდნენ, მაგრამ გაბრიელმა უთხრა მათ: „ნუ გეშინიათ! მე გახარებთ თქვენ უდიდეს სიხარულზე, რომელიც იქნება ყოველი ადამიანისთვის: რამეთუ დავითის ქალაქში მხსნელი იშვა, რომელიც არის უფალი ქრისტე“. ამ სიტყვებით მთავარანგელოზმა მესიის ჭეშმარიტ დანიშნულებაზე მიანიშნა, რომელიც არა მარტო ებრაელთათვის მოვიდა, არამედ ყველა ხალხისთვის, რამეთუ სიხარული იქნება ყველასათვის, ვინც მას მიიღებს, როგორც მხსნელს. გაბრიელმა ისიც უთხრა მწყემსებს, თუ სად იპოვიდნენ ახალშობილ ყრმას.

იმ დროს, როცა გაბრიელმა ამის შესახებ მწყემსებს აუწყა, ზეციდან მრავალი ანგელოზის გალობის ხმა მოისმა, რომლებიც ასე ადიდებდნენ ღმერთს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

რატომ აირჩია ანგელოზმა უბრალო მწყემსები და არ აუწყა ქვეყნად მესიის მოვლინება იუდეველ უხუცესებს, მწიგნობრებსა და ფარისევლებს? იმიტომ, რომ „ბრმების ბრმა წინამძღოლებმა“ დაივიწყეს მესიის შესახებ წინასწარმეტყველების ჭეშმარიტი არსი.

ერთმანეთში მოთათბირების შემდეგ, მწყემსებმა გადაწყვიტეს ახალშობილის დაბადების ადგილას მისულიყვნენ და ენახათ მართალი იყო თუ არა, რაც მათ მთავარანგელოზმა უთხრა. მისულებმა ნახეს საქონლის ბაგაში მწოლარე ყრმა და ყველაფერი სწორედ ისე იყო, როგორც მათ ეუწყათ. მწყემსებმა ირწმუნეს, რომ ის იყო მესია, რომელსაც ამდენს ხანს ელოდნენ და რომ იგი მოვიდა, რათა იხსნას კაცობრიობა.

მათ ყველაფერი უამბეს წმინდა იოსებსა და ღვთისმშობელს. სალომეა (ნათესავი ღვთისმშობლისა და იოსებისა) და ყველა იქ მყოფი, რომლებიც ახალშობილის სანახავად იყვნენ მოსულები, გაოცდნენ მწყემსების მონათხრობით. ღვთისმშობელი კი „ჩუმად უსმენდა მათ და იმარხავდა ყოველ სიტყვას გულში“.

მოგვთა თაყვანისცემა

რამდენიმე თვით ადრე ქრისტეს შობამდე ცაზე უჩვეულო ვარსკვლავი გამოჩნდა. აღმოსავლელმა მოგვებმა (მოგვებს უწოდებდნენ განსწავლულ ადამიანებს, რომლებიც აკვირდებოდნენ და იკვლევდნენ ციურ მნათობებს) და ფილოსოფოსებმა შეამჩნიეს იგი და დაიწყეს ფიქრი თუ რას ნიშნავდა ამ საკვირველი ვარსკვლავის გამოჩენა. როგორც წმინდა მამები ამბობენ, შობის ვარსკვლავი ცაზე იმ მომენტიდან აინთო, როცა მთავარანგელოზმა გაბრიელმა ქალწულ მარიამს ახარა, რომ მისგან იშვება ქვეყნიერების მხსნელი.

იმ პერიოდისთვის ხალხს სჯეროდა, რომ დიდი ადამიანის დაბადებისას ცაზე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდებოდა. მრავალმა წარმართმა, უმეტესად სპარსეთში, ებრაელთაგან იცოდა მომავალი მესიის, იუდეველთა დიადი მეფის შესახებ. სპარსი მოგვები ელოდნენ, რომ, როცა დაპირებული მეფე დაიბადებოდა, ცაზე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდებოდა. მართალია წინასწარმეტყველება მესიის ვარსკვლავის შესახებ სულიერი გაგებით იუწყებოდა, მაგრამ ღმერთმა, მისი გულმოწყალებით, წარმართებში რომ რწმენა გაეღვიძებინა, ცნობა მათთვის უფრო გასაგები ფორმით, ცაზე უჩვეულო ვარსკვლავის გამოჩენით მისცა.

როცა ქრიტეს შობამდე ცოტა დროღა იყო დარჩენილი, სამი მოგვი, ყოველი თავისი ქვეყნიდან, გაემართნენ პალესტინისკენ.

იოსები და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ახალშობილ ყრმასთან ერთად ჯერ კიდევ ბეთლემში იმყოფებოდნენ, როცა შორეული აღმოსავლეთიდან წამოსული მოგვები იერუსალიმში მივიდნენ. იერუსალიმიდან ბეთლემისკენ მიმავლებს გზას ისევ ის უჩვეულო ვარსკვლავი უჩვენებდა, ვარსკვლავი თითქმის მიწამდე დაეშვა და ბოლოს იმ გამოქვაბულის თავზე გაჩერდა, სადაც ბაგაში ახალშობილი მაცხოვარი იწყვა. იხილეს რა საქონლის ბაგაში მწოლიარე ყრმა, აღმოსავლელი ბრძენნი მიხვდნენ, რომ ახალშობილის მეუფება ფუფუნებაში და დიდებულ დარბაზებში კი არა, სიღარიბეში, მორჩილებაში და ამქვეყნიური დიდების მოძულებაში იყო. წარმართ განსწავლულებზე მათთვის მოულოდნელმა სანახაობამ არ იმოქმედა და ის რწმენა არ შერყევიათ, რის გამოც ასეთი გრძელი გზა გამოიარეს. პირიქით, შევიდნენ საქონლის სადგომში, მიახლნენ ბაგაში მწოლიარე ყრმას და თაყვანის სცეს არა მარტო როგორც მეფეს, არამედ როგორც ღმერთსაც და ძღვენიც მიართვეს: ოქრო, გუნდრუკი და მური. ოქრო - როგორც მეფეს, გუნდრუკი - როგორც ღმერთს და მური - როგორც კაცს, ვინაიდან მურს გარდაცვლილის ცხედრის გასაპატიოსნებლად იყენებდნენ, რათა შენახულიყო იგი.

მაცხოვრის შობასთან დაკავშირებულ მონათხრობში კიდევ ის არის შესანიშნავი, რომ პირველები, ვინც ახლადდაბადებულ მხსნელს თაყვანისცეს, მწყემსები იყვნენ, ბუნების ჭეშმარიტი შვილები, რომლებსაც მაცხოვრისათვის მხოლოდ თავიანთი გულის საგანძური შეეძლოთ მიეძღვნათ, გულის საგანძე - სავსე უბრალოებით, რწმენით და მორჩილებით. უკვე მოგვიანებით კი სიბრძნით აღჭურვილი მოგვები მივიდნენ აღმოსავლეთიდან. ეს ალბათ იმაზე მეტყველებს, რომ გულის უბრალოებას და ღრმა კეთილსინდისიერ მეცნიერებას ერთნაირად მიჰყავს ადამიანი ქრისტემდე. მხოლოდ პირველი გზა პირდაპირია, მოკლე და უფრო სარწმუნო, ვიდრე მეორე. მწყემსებს უშუალოდ ანგელოზებმა აუწყეს, ხოლო მოგვებმა უტყვი ვარსკვლავის გამოჩენიდან მოყოლებული, ძნელადსავალი და არცთუ უხიფათო გზა გაიარეს ვიდრე სასურველ მიზანს მიაღწევდნენ.

საახალწლო საჩუქრები პატარებს

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის - **ავთანდილ გულიკაშვილის** ინიციატივით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ყველა აღსაზრდელს წინასაახალწლოდ მრავალფეროვანი სასაჩუქრე ნაკრები გადაეცათ.

მუნიციპალიტეტის მერი, მოადგილესთან, **გიორგი ლალიაშვილთან** და საკრებულოს თავმჯდომარე-**ალექსი გილაშვილთან** ერთად ბაღებს ესტუმრა, საახალწლო ღონისძიებებს დაესწრო, პედაგოგებსა და აღსაზრდელებს დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა და ბავშვებს ტკბილეული თავად გადასცა.

ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ 2023 წლის საუკეთესო სპორტსმენები

ოლიმპიური სახეობა

1. შოთა გაჩოშვილი – *საქართველოს, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის და სლოვენიის „კარინთის ღია პირველობის“ საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი ძიუდოში, მსოფლიო პრიზიორი ჭაბუკებში;*



2. ნინი ლოლაძე – *საქართველოს ჩემპიონი და ევროპის ვერცხლის პრიზიორი ახალგაზრდებში (ძიუდო)*

3. ამირან დარბაისელი – *საქართველოს ჩემპიონატის III პრიზიორი ძიუდოში (დიდებში);*

4. ირაკლი კუპატაძე – *საქართველოს ჩემპიონატის III პრიზიორი ძიუდოში (დიდების ასაკში);*

5. ზირუზი ქვლივიძე – *საქართველოს ჩემპიონატის III პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში (დიდების ასაკში);*

6. ლუკა მარტიაშვილი – *საქართველოს, ევროპისა და ჭაბუკებში მსოფლიო ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში;*



7. სალომე კავთუაშვილი – *საქართველოს ჩემპიონი კრივში (ჭაბუკების ასაკში)*

8. გიორგი დეკანოზიშვილი – *საქართველოს III პრიზიორი კრივში (უფროს ასაკში)*

9. მარიამ ხოსიტაშვილი – *საქართველოს ჩემპიონი ძიუდოში (ჭაბუკების ასაკში)*

10. დავით კევლიშვილი – *საქართველოს ჩემპიონატის III პრიზიორი ძიუდოში (ახალგაზრდებში;*

არაოლიმპიურ სახეობებში წარმატებულ სპორტსმენთა სია გამოქვეყნდება მომავალ ნომერში.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდ-ენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე“-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს“-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

რედაქტორი:
თინათინ ილაური